ბატონი ბეილი, უფრო ცნობილი ფსევდონიმით - სტენ- ჯალი, ჩემი აზრით, არის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული მხატვარი იდეების ლიტერატურისა, "რომელსაც ეკუთვნის ბატონები: ალფრედ დე მოუსე, მერიმე, ლიონ გოზლანი, ჰრანჟე, დელაუენი, გ. პლანში, შარლ ნოდიე და ქალბა- ტონი დე ჟიარდენი. ანდრე მონიე მათ გვერდით ადგ- ლს იკავებს სიმარათლი თავისი ანდაზებისა, რომელთაც აფრეცა ხშირად აკლათი დედა-იდეა, მაგრამ სავსენი არიან ბუნებრიობითა და დაკვირვების შტრიხებით, რაც სავს- ებით შეესაბამება ამ სკოლის ნახათს.

ეს სკოლა, რომელსაც უნდა ეუმადლოდეთ მშვენიერ პანარმოვებს, გამოირჩევა ქმნილებათა სიუზებით, სახ- ზების ზომიერებით, ლაკონურობით, სიფაქიზით, ვოლ- ტურისეული მოკლე ფრაზებით, თხრობის მეთვრამეტე საუკუნისეული მანერით, კომედიურის განსაკუთრებული გრძობით. ბატონ ბელიუსა და მერიმეს, მათი ღრმა სე- რიოზულობის მიუხედავად, შემოქმედებით მანერაში აქვთ რაღაცნაირი ირონია და დაციხვა. მათთან კომიკურობა შეკავებულია. ეს გახლავთ კაუში მოქცეული ცეცხლი.

ბატონი ვიქტორ შოფო "სანეების ლიტერატურის" ყველაზე ამაღლებული, ჭეშმარიტი ტალანტია. ბატონი ლამარტინიც ეკუთვნის ამ სკოლას, რომლის ნათლიაც ბატონი შატობრიანი გახლავთ და რომლის ფილოსოფიაც ბატონმა ბალანშმა ჩამოაყალიბა. აქვია "ობერმანიც". აქ არიან ბატონები: ო. ბარბი, თეოფილე გოტიე, სენტ-ბევი, ასევე შარკალი უძღური მიმბაძველი. აქ, ჩემ მიერ ჩამოთ- ვილი ავტორებთან, ზოგან გრძნობები სჭარბობს სახეს, როგორც ბატონ დე სენანკურთან და ბატონ სენტ-ბევეთან. ბატონი დე ვინცი ამ სკოლას ეკუთვნის, ოღონდ უფრო თავისი პოეზიით, ვიდრე პროზით. ყველა ამ პოეტს ნაკლებ- ადამ აქვს გამოხატული კომედიურობის შეგრძნება. ისინი უგულვებელყოფენ დიალოგს. გამონაკლისია ბატონი გო- ტიე, რომელსაც გააჩნია დიალოგის ცინცხალი გრძნობა. ბატონი ვიქტორ შოფოს დიალოგში გადაჭრებულად ავ- ტორისეული მუტყველება. იგი საკმარისად არ გარდაისახ- ება, პერსონაჟში თავის არსებას დებს, იმის ნაცვლად, რომ თავად იქცეს პერსონაჟად, მაგრამ ამ სკოლას, ისევე, რო- გორც სხვას, გააჩნია თავისი მშვენიერი ქმნილებები და გამოირჩევა ფრაზის პოეტური სისხეუსით, სურათების სიმ- დიდრით, ბუნებასთან ინტიმური ურთობით. მეორე სკოლა ადამიანურია, ეს კი ლეთაბრივია თავისი აზრით, რომელ- საც წერათის, რათა ამაღლდეს სულამდე, რომელიც ნარ-

მომობით ასევე ლეთაბრივია. ის ბუნებას ადამიანზე მაღლა აყენებს. ფრანგული ენა მას უნდა უმადლოდეს პოეზიის მძლავრ დოზას, რაც ჩვენი ენისთვის აუცრმელეა იყო, რადგან მან განავითარა პოეტური გრ- ძნობერება, რასაც დღეხანს ენიწაღრმე- ვებდა პოზიტეიზმი. მაშაბალი ეს სიტყვა ჩვენი ენისა. სიმშრალე მას მეთვრამეტე საუკუნის მწერლებმა ჩაუნერგეს. ფან-ჟაც რუსო და ბერნარდე დე სენ-პიერი იყვნენ ნამომწყებნი რევოლუციისა, რომელსაც მე ბედნიერს ვუნდობდი.

კლასიკოსთა და რომანტიკოსთა ბრძო- ლის მთელი საიდუმლო მთლიანად ძვეს გონებათა ამ ბუნებრივ დაყოფაში. ორი საუკუნის განმავლობაში განუყოფლად მე- ფობდა იდეათა ლიტერატურა". მეთვრამ- ეტე საუკუნის მწეკვიდრეებს უნდა მივლით მათთვის ცნობილი, მთელი ლიტერატურ- ისთვის სავადებულად ქცეული ერთადე- რი სისხტემა. არ გავაუფერულოთ კლასიკის დამცველნი. დარაზნული, ქმნილებებით სავსე იდეების ლიტერატურა" ბუნებრივად არსებობს ფრანგულ ეკნიაში. "საეოელი ეპისკოპოსის სარწმუნოების სიმბოლო", "კანდიდი", "პროვინციელები", "ჟილ ბლა- ზი" უფრო ძვეს ფრანგულ სულში, ვიდრე "სანეების ლიტერატურის" ქმნილებები, მა- გრამ ამ უკანასკნელს უნდა ვუმადლოდეთ პოეზიას, რაც წინამდებარე ორ საუკუნეში უუტყველად შექმნეს ლაფონტენმა, ანდრე მენიემ და რასინმა. "სანეების ლიტერატუ- რა" ავჯანა და უკვე მოითელის რამდენიმე კაცს, რომელთა უკეთეს უუტყველია, მაგრამ, როცა ხეცდავ, თუ რამდენს ითვლის მეორე სკოლა, მე ვფიქრობ უფრო სიღადავსა და ზრდაზე, ვიდრე მის დაცემაზე ჩვენი მშვენი- იერი ენის იმპერიამ. ბრძოლა მთავრდება. შეიძლება ითქვას, რომ რომანტიკოსებს არ გამოუგონიათ ახალი ხერხები. მაგალითად, თეატრში - მათ, ვინც მოქმედების ნაკლე- მობას უჩივის, მთლიანად ტირადებოთა და მონოლოგებით კვებავენ და ჩვენ ვფრან- ვერ გავიგონეთ ვერც ცოცხალი და ჩქარი დიალოგი ბოზარშესი და ვერც მიღიერი- სეული კომიკურობა ვიგრძენით, სადაც მო- ქმედებას წარმართავს სიმართლე და იდე-



შალვა შალვაშვილი

ბი. კომპიურობა მედიაციისა და საბჭოს მტერია. ვიქტორ პოუგომ უზომოდ მოიგო ამ ბრძოლაში, მაგრამ საქმეში ჩახედულებს ასაკით იმპერიის დროს გაჩაღებული ბრძოლა შატობრიანის წინააღმდეგ. ისიც ასევე გამაგებული იყო და უფრო ჩეხარა ჩაცხრა, რადგან ბატონი შატობრიანი მარტო იყო პოუგოს „astipante caterva“-ს, ჟურნალების ურთიერთმტრობისა და იმ დახმარების გარეშე, რომელსაც ჩვენს რომანტიკოსება უწევდნენ უფრო ცნობილი და დაფასებული ინგლისელი და გერმანელი დიდებული გენიოსები.

რაც შეეხება მესამე სკოლას, რომელიც მოწილდა ერთისაც და მეორისაც, არა აქვს პირველი ორის მსგავსი შესაძლებლობა, ვნებით ანათოს მასები, რომელთაც ნაკლებად უყვართ „nozze termine“, კომპოზიტივი და ეკლექტიზმში თავისი ენებების სანაწინააღმდეგო, დამაცხრობელ წესრიგს ბედავენ. საფრანგეთს ყველაფერი იმი უყვარს, მშვიდობის ეამსაც კი ბორგავს. მტ-ნაკლებად, უოლტერ სკოტი, მადამ დე სტალი და კუპერი მესახებიან მშვენიერ გუნებად. რაც შეეხება მე, „ლიტერატურა“

ლი ეკლექტიზმის“ დროის ქვემ შემდეგი მიზეზის გამო ვდგები: მე არ მგონია შესაძლებელი თანამედროვე საზოგადოების სურათის შექმნა მუხივდმეტე კრუკ-ჩეფერინგტონ სალკუნების მკაცრი ხერხებით. მე აღუცილებლად მივჩნევა სახის, სურათის, აღწერის, დიალოგისა და დრამატული ელემენტების შემოღება. ამას ადვილად ვაღიარებ! „ფილ ბლასი“ დამლულია თავისი ფორმით. კვანძებისა და იდეების დაივაგებაში არის რაღაც უხელოობისა, არ ვიცი რა. იდეა, პერსონაჟად ქცეული, უმშვენიერესი აზრია თავის ფსიქოლოგიურ მორალს შლავტონი დიალოგებში გამოიხატავდა. ეს სკოლა, რომელსაც უნდა ვუმაბლოდო მშვენიერ ნაწარმოებებს. გამოირჩევა ქმნილებათა სიუჟეტით, სახეების ზომიერებით, ლაკონურობით, სიუჟეტით, ვოლტერისეული მოკლე ფრაზებით, თხრობის მეთვრამეტე სალკუნისეული მანერით, კომედოურის განსაკუთრებულ გრძობით. ბატონ ბელსა და მერიმსა, მათი ღრმა სერიოზულობის მიუხედავად, შემოქმედებით მანერაში აქვთ რაღაცნაირი ირონია და დაცინვა. მათთან კომიკურსა შეკავებულია. ეს გახლავთ კაჟში მოქცეული ცეცხლი.

„პარმის სავანე“ ჩვენს ეპოქაში, დღესდღეობით, აივების ლიტერატურის“ შედევრად მიმაჩნია და ბატონმა ბელმა იგი შექმნა ორივე სკოლის იმ მიწნულებების გამოყენებით, რომლებიც საღი აზრისთვის მისაღებია და ორივე ბანაკს აკმაყოფილებს.

თუკი აბედ ნანს დავაგვიანე ამ წიგნზე საუბარი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, მერწმუნეთ, რომ ჩემთვის ისეილი იყო ერთგვარი უპარტიოების დაძლევა. განა ჯერაც არა მათეს გათვინცნობიერებული მისი მოფრთხილების საჭიროება? მესამე, აუჩქარებელი და დაკვირვებით ნაკითხვის შემდეგადაც ვთვლი, რომ ეს ნაწარმოებ არაჩვეულებრივია.

მე ვიცი, რამდენ მითქმა-მოთქმას აღძრავს ჩემს აღტაცება. აცუნდრუკებას დაშინებენ მაშინ, როცა მე უბრალოდ, გულმხურვალეობით ხაყხ ვარ მის გასაქობად საკმარისი დროის გასვლის შემდეგაც. ნარმოსახვის მოგარული აღამიანები ადვილად ითვისებენ და ადვილადვე იგინებენ. გაუგებარია მათი სინაზე იმ ქმნილებათა მინართ, სადაც ვულგარულობა ქედმაღლურად და ირონიულად ბატონობს. მარტივი, თუნდაც მახვილგონიერი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ირონიული მშვენიერებით ეხებიან ოდენ ზედამირს, იტყვიან, რომ მე ვერთობი პარადოქსებით და არაფრისთვის ფასის დადებით, რომ მე, ისევე როგორც სენტ-ბევის, მყავს ჩემი ძვირფასი უცნობები. მე არ მებერება ჭეშმარიტების გამოხატვა. აი, ესაა სულ.

ბატონმა ბელიმ მშვენიერ წიგნი, სადაც ყოველი თავი კამკამებს სიდიადე. მან მაშინ, როცა კაცნი იშვიათად პოულობენ დიდებულ სიუჟეტებს, ოციოდე უაღრესად მახვილ-

გონიერი ტომის შემდეგ შექმნა ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ აღმსარებელმა სულემა თუ ადამიანებმა შეიძლება დააფასონ. ბოლოს და ბოლოს, მან შექმნა „თანამედროვე მთავარი“, რომელსაც მაკიაველი დანერგა, მეცხრამეტე საუკუნის იტალიაში რომ გარდამოცემდა.

ბატონი ბეილის დამსახურებულ დიდებას ყველაზე დიდ დაბრკოლებას იქნებ ის უქმნის, რომ „პარმის სავანეს“ განაწესული მითხველის პოვნა შეუძლია მხოლოდ დიპლომატებში, მითხველებში, დამკვირვებლებში, ყველაზე უფრო დახვეწილ ხელოვანთა შორის და ბოლოს თორმეტე თუ ახუთმეტე ასეულ პიროვნებაში, რომლებიც ევროპის ნალებს წარმოადგენენ? ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, რომ მათ თვის განმავლობაში, მას მერე, რაც ეს ნაწარმოები გამოქვეყნდა, ერთი ჟურნალისტიკე კი არ გამოჩნდა, ვინც მას წაიკითხავდა, გაიგებდა, შეისწავლიდა, გამოეხმაურებოდა, განიხილავდა და შეაქებდა, ან თუნდაც გაკვირით მოიხსენიებდა. მე, ვისაც შოინა, რომ ცოტა რამ გავიგე, ამ დღეებში მესამედ წავიკითხე, კიდევ უფრო მშვენიერი მეჩვენა იგი და სულში შევიგრძობე ბედნიერება, რამაც მიზიდავს კეთილი საქმის გასაკეთებლად.

განა კეთილი საქმე არ იქნება, რომ შევიცადო, საზღაური მივაღ უსაზღვრო ტალანტის კაცს, რომელსაც გენია მხოლოდ რამდენიმე რჩეულის თვალში უფრო მშვენიერი მეჩვენა იგი და სულში შევიგრძობე ბედნიერება, რამაც მიზიდავს კეთილი საქმის გასაკეთებლად.

სინდისით დაკანონებულ გაღმერთებაში არის გამოთქმული სიტყვით. ასევე, ყველაფერს, რის თქმასაც აქ ვაპირებ, ვუძღვნი კეთილშობილ და წმინდა გულებს, რომლებიც, სეუდისმომგვრელი განცხადებების მიუხედავად, არსებობენ ყველა ქვეყანაში, ხელოვნების კულტისთვის შენირულ მოსახლებში, როგორც უცნობი პლავდები. კაცობრიობას, ის მრავალ თაობას, განა აქ. ამ მიზნზე არ გააჩნია თავისი სულთა თანავარსკვლავედი, თავისი ცა, თავისი ანგელოზები, დიდი შეფი ნინასწარმეტყველის, სეუდებორგის, საყვარელი გამოთქმის არ იყოს, ელიტარული ადამიანები, რომელთათვისაც იძულები წამდვილი ხელოვანი და რომელთა მსჯავრიც იძულებით მათ, შურისგანენ სილატაკეს, მეტიწარათა კადნიერებას და მთავრობათა გულგრილობას?

მივდი მაქვს, მბატოტით იმას, რასაც არაკეთილშობილურნი გაჭანაწურებად მოსათლავენ. ვერ ერთი, მე მტკიცედ მწამს, რომ ასე გასაოცარი და საინტერესო ნაწარ-

მოების ანალიზი მეტ სიამოვნებას მანაცხვებს ყველაზე უფრო რთულ პიროვნებებს, რასაც მათ ვერ ნიანჩქებად ახალა, გაქმნენ გამოცემილი ნიგნი, რომლის გულგრილად ის დაიჭერს, მერე კიდევ, სხვა კრიტიკოსი გამოიყენებდა, სულ ცოტა, სამ სტატიას, ნინამდებარესავით გაჭიმულს, რათა რიგინად მოეხერხებინა ახსნა ამ ქმნილებას, რომელიც ხშირად თითო გვერდზე თითო ნიგნი იტევს და რომლის განმარტებაც შეუძლია მხოლოდ იმ კაცს, ვისთვისაც ჩრდილოეთ იტალია ცოტათი მაინც მშობლიურია და ბოლოს, მე გამოვიჩინე საქმალო გონიერებას, რათა ბოლომდე სიამოვნებით ნაკაითხოთ ჩემი ნაწერი. (...)

ამ დიადი ნაწარმოების წაფიქრება და გახსოვრება უსძლო მხოლოდ იარმოცდაათი წლის კაცმა ასაკის მთელი ძალისხმევით და ტალანტის სიმსიფის მეშვეობით. ყოველ წერილბანში იგრინობა სრულყოფილება. მთავრის რლი ოსტატის ხელითა გამოკვეთილი. ეს ნამდვილი მთავარი. იგი აღტაცების ღრისია, როგორც ადამიანი და ხელისუფალი. ეს კაცი რუსეთს უმეთაურებდა. იგი მას გაუძღვებოდა და იქნებოდა დიადი, მაგრამ კაცად კაცი კი იგივე დარჩებოდა - ამბოღობით გატაცებული, შურიანი, ენების ამყოლი. ის იქნებოდა ლუი მეათხმეტე და შურს იძიებდა შერკოგინიზე, როგორც ლუი იძია ფუკეზე. კრიტიკა საყვედურს ვერ იტყვის ვერც ყველაზე დიდი და ვერც ყველაზე პატარა პერსონაჟის გამო. ისინი, ყველანი ისეთები არიან, როგორებიც უნდა იყვნენ. ასეთია ცხოვრება, განსაკუთრებით სამეფო კარისა, რომელიც კარიკატურულად კი არ არის დახატული, როგორც პოფმანთან, არამედ სერიოზულად და მახვილგონიერულად. ეს ნიგნი იდეებულად ხსნის იმას, თუ როგორ ანამებდა ლუი მეცამეტის კამარიალი რომელიც. ეს ნაწარმოები დატვირთულია ისე ფართო ინტერესებით, როგორც ლუი მეათხმეტის, პიტის, ნაპოლეონის ან რუსეთის კაბინეტები, რომელთა დაფარული ინტერესების ახსნა გაჭიანურებული თხრობითა და განმარტებებითაც კი შეუძლებელი იქნებოდა. აქ კი თქვენ ერთიანად

ხვევთ ხელს პარმის სამთავროს და პარმა
თქვენ შეგაცნობინებთ „mutate nomine“, ყვე-
ლაზე უფრო დახვეწილი კარის ინტრიგებს.
ასე ხდებოდა პაპ ბორჯიას მმართველობი-
ნას ან კიდევ – ტიბერტიუსისა თუ ფლიბე
მეორის კარზე და ასეთივე იქნებოდა პეკი-
ნის სამეფო კარიც. [...]

ყველა საქმეში ხელოვან ხალხს აქვს
ერთი დაუძლეველი წმინდა სიყვარული,
ხელოვნების შეგრძნება, კეთილსინდისიერ-
ება, რომელიც მისთვის წარუშლელია და
რომლის წარყვნა ან ყიდვა შეუძლებელია.
მსახიობი, რაგინდ ბორატების არ იზრანა-
ვდეს თავისი თეატრის ან რომელიმე ავტო-
რის მიმართ, არასოდეს ითანამუშებს ცუდად
თავის როლს. გვამში დარიშხანის აღმოსა-
ჩენად დიახებული ქიმიკოსი აუცილებლად
იბოვის მას, თუ, რა თქმა უნდა, იგი იქ არსე-
ბობს. მწერალი და მხატვარი მუდამ თავისი
გენიის ერთგულნი იმარჩებიან, მაშინაც კი,
როცა იქვეა ეშაფოტი. ასე არ ხდება ქალებ-
ში. ქალისთვის სამყარო მისი ვნებების საწ-
ბელია. ამით ქალი კაცზე უფრო მშვენიერი
და დიდია. ქალი გრძნობას, კაცი კი – მო-
ქმედებას. ასე რომ არ ყოფილაყო, კაცი არ
გაღმერთებდა ქალს. ასეა სამეფო კარის
სოციალურ წრეშიც, რომელიც მეტ ენერ-
გიას იძლევა ვნებისათვის, რომელსაც ქალი
ანიჭებს თავის ცინცხალ სიკაჟამებს. მისი
ყველაზე ლამაზი თეატრია აბსოლუტური
ხელისუფლების სამყარო. აი, რატომ აღარ
არის თანამედროვე საფრანგეთში ქალები.
(...)

აი, რა დამემართა: პირველი ნაკითხვი-
სას, გაცოცხლებისგან ერთიანად შექრულმა,
ვბოვე ნაკლოვანებებში. მეორე ნაკითხვისას
ეს გაჭიანურებები გაერა, მე უკვე ვხედავდი
აუცილებლობას დეტალისა, რომელიც
თავიდან ზედმეტი და ბუნდოვანი მეჩვენა.
კარგად რომ გაერკვეულიყავი, მე მიმოვიხი-
ნეუ თხოვლებს. ამ საქმით გატაცებულმა
იმაზე მეტხანს ვათვალიყურე წიგნი, ვიდრე
განზრახვლობას მქონდა და ყველაფერი თვალ-
ნინ წარმომიდგა, როგორც ძალზე პარმო-
ნიული და ძალზე დამაჯერებელი, ერთმან-
ეთთან დაკავშირებული ბუნებრივად თუ
ხელოვნების ძალით.



ორიუ დე ბალზაკი

და აი, შეცდომებიც, რომელთაც წინ წამოვწეე არ
ხელოვნების თვალსაზრისით, არამედ მსხვერპლის გაღუ-
ბის აუცილებლობით:

თუკი პირველი ნაკითხვისას მეც კი მეჩვენა ბუნდ-
ოვანი, ასეთი მთავრდობა შეეძნება მასასაც და ამ
კუთხით, ჩანს, წიგნს აკლია მეთოდი. ბატონმა ბეილმა
კარგად წარმოაჩინა მოვლენები, როგორც ისინი მოხდა
ან უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამბავთა დალაგებაში მოუ-
ვიდა შეცდომა, რაც ემართება ზოგიერთ ავტორს, როცა
იღებს წამდვილ სიტუატას ბუნებრივად, რომელიც ასეთივე
არ არის ბელოვნებაში. პეიზაჟის ხატვისას დიდი მხატვარი
ცდილობს, აერიდოს მონური ასლის შექმნას. აქ ხომ სულა
უფრო საჭიროა, ვიდრე ნაწერი. ასევე, თავისი უბრალოე-
ბით, მიაჩნტი და ძალდაუტანებელი თხრობით, ბატონმა
ბეილმა გარისკა, რომ ბუნდოვანი გამოჩნდიყო. ღირსე-
ბას, რომელიც შესწავლის ღირსია, ახლავს შეუმწველად
დარჩენის საშუალებებსაც, ასევე, წიგნის ინტერესებიდან
გამომდინარე, ვისურვებდი, რომ ავტორს ვატერლოოს
ბრძოლის დიდებული მონახაზით დაეწყო თხრობა და
შეემცირებინა ყველაფერი, რაც წინ უსწრებს ფაბრიცი-
ოს ზოგიერთ ნაიმუბს ან ზოგიერთ მონათხრობს მასზე,
როცა ის დაჭრილი თავს აფარებს ფლანდრიის სოფელში.
დამერწმუნეთ, ამით ნაწარმოები მეტ სიმსუბუქეს შეი-
ძენდა. მამა-შვილი დელ ლონგოები, მილანის დეტალები
– ეს არ არის წიგნი. დრამა ხდება პარამში. მთავარი

პერსონაჟები: მთავარი და მისი ვაჟი, მოსკა, რასი, პერკოვინია, პალა ფერანტი, ლოდოვიკო, კლელია, მამამისი, რავერსი, ჯილენტი, მარიეტა. განაწულ მრჩეველებს და ჰეგობრებს შექმლით ემიგრით ზოგიერთი მონაკვეთის განვითარებისკენ, რომლებიც ავტორმა ისე საინტერესოდ არ მიიჩნია, როგორც სინამდვილეშიც არიან, შექმლით უსიხარო ამაღლება ზოგიერთ ნერვლმანისა, რომელთაც თავანთი დახვეწილობის მიუხედავად, ნაკლები სარგებლობა მოქვით. ასევე არაფერს ნააგებდა ნაწარმოები ბატი ზლანესის გაქრობით.

მე უფრო შორს წავაღ. ამ მშვენიერი ნაწარმოების ნინამეც არ ვულალატბ ხელოვნების ქეშმარიტ პრინციპებს. უმთავრესი კანონია კომპოზიციური მთლიანობა. ეს ერთიანობა უნდა მოექცეს დედა-იდეაში, ან გემამში. მისი გარემუ ბუნდოვანება მეფდება. გამომდის, რომ სათაურის მიუხედავად, ნაწარმოები უკვე დამთავრებულია მაშინ, როცა გრაფი და გრაფინია მოსკები ბრუნდებიან პარმამში და ფაბრიციო არქიებისკოპოსი ხდება. კარის მაღალი კომედიის დასრულებულია. იგი კარგად დამთავრდა და ავტორმაღ იგრძნო ეს, ამიტომაც სწორად აქ მოათავსა თავისი მორალიტი, ისე, როგორც წინათ ამას აკეთებდნენ ჩვენი წინამორბედი თავიანთი საარაკო თხრობის ბოლოს.

– შეუძლებელია ამ მორალის დაფიქვება. – ამბობს ის. – როცა კაცი უახლოვდება სამეფო კარს, განსაცდელში აგდება თავის ბედნიერებას, თუკი ის ბედნიერია და ყველა შემთხვევაში თავის მომავალს ხდის დამოკიდებულს სეფექალის ინტრიგებზე.

– მეორე მხრივ, ამერიკაში, რესპუბლიკაში, მთელი დღე გაბეზრებული უნდა იყო სერიოზული საუბრით ქუჩის მეღუქნეებთან და მათეორ ბრიყვი გახდე. თინაც, იქ არ არის ოპერა.

თუკი ფაბრიციოს თავისი რომაული მოსასამისა და შიტრის საბუთელები უყვარს მარკია კრეჩენციად ეცეული კლელია და თქვენ ამას გვიამბობთ, მაშინ, გამომდის, რომ თქვენ გსურთ ამ ახალგაზრდა კაცის ცხოვრება აქციოთ ნიგნის თემად, მაგრამ თუკი გსურდათ, დაგებატათ ფაბრიციოს მთელი ცხოვრება, მაშინ ნიგნისთვის, თქვენ, ასე გამჭირებას კაცს უნდა გენოვდინათ „ფაბრიციო“ ან „ახალგაზრდა იტალიელი“, მაგრამ ამ შემთხვევაში ფაბრიციო არ უნდა დაჩრდილდყო ისეთი ტიპიური და თანაც პოეტური სახეებით, როგორებიც არიან მთავრები, სანსევერინა, მოსკა, პალა ფერანტი. ფაბრიციოს უნდა წარმოედგინა ზვენი დროის ახალგაზრდა იტალიელი. დრამის მთავარ პირად მისი გადაქცევისთვის ავტორი იძულებული გახდებოდა, მისთვის მიეწებინა მაღალი აზრი და გრძნობები, რომლებიც მას გახდინდნენ აღმატებულს ირგვლივ მყოფ გენით დაჯილდოებულ ადამიანებზე, იმ გე-

ნით, რომელიც მას აკლია. მთლიანობაში გრძნობა ტალანტის ტოლია. შვერნებ მეტოქეა გაგებისა, როგორც მოქმედებულ ფიქრისა. გენიალური კაცის შეგობრება მთლიანია, სიყვარულით და გაგებით მის სიმამლემდე ავიდეს. საშუალო კაცს გულის საკითხებში შეუძლია, აჯობოს დიდ ხელოვანს. ეს ამართლებს ქალებს, რომელთაც სულელები უყვართ. ასევე, დრამაში ერთ-ერთი საუკეთესო წყარო ხელოვანისთვის (ამ შემთხვევაში გგულისხმობ ბატონ ბეილს) არის ის, რომ გმირი, რომელსაც არ გააჩნია გენია ირგვლივ მყოფ პერსონაჟებთან საბძოლეველად, გახადოს ფაბრიციო აღმატებული. ამ მიმართებით ფაბრიციოს როლი მოითხოვს გადაკეთებას. კათოლიციზმის გენიას თავისი დვთაებრივი ხელით უნდა ებიძგებინა მისთვის პარმის სავანისკენ და ამ გენიას იგი თავისი მაღლით თანდათან დაეცხრო. აბატი ზლანესი ვერ შეავსებდა ამ როლს, რადგან შეუძლებელია, განაწათაო ასტროლოგიური მსჯელობიანი და, ამავე დროს, ეკლესიური თვალსაზრისით იყო წმინდანი. მაშ, ნაწარმოები ან უფრო მოკლე უნდა ყოფილიყო, ან უფრო გრძელი.

იქნებ გაჩინებული დასაწყისი, იქნებ ეს დასასრული, რომელიც ახალ ნიგნს იწყებს, სადაც სიუფეტი მოხრჩობილია, უშლიან ხელს წარმატებას? შესაძლია, უკვე შეუშალეს. ბატონ ბეილს, გარედან ამის თემა ადვილია, აქვს რამდენიმე განმეორება, რასაც მხოლოდ ისინი მოხვდებიან, ვინც მის ნინა ნიგნებს იცნობენ, მაგრამ ეს გამეორებები აუცილებელია მხოლოდ მცოდნეთათვის და აწნელებენ კითხვას. ბატონი ბეილი მუყარობილია დიადი პრინციპით: „უბედურება – სიყვარული, ისევე, როგორც ხელოვნებაში, როცა ყველაფერია ნათევა-მი!“ და არ უნდა იმეორებდეს თავისთვის. იგი, მუდამ სხარტი და ბევრი რამის გამოსაცნობად დამტოვებული, მიუხედავად სფინქსური ჩვეებისა, აქ ნაკლებად ენიგმატიკურია; ვიდრე თავის სხვა ნაწარმოებებში და ალბათ მისი ნამდვილი მეგობრები ამას მიულოცავენ.

პორტრეტები მოკლეა. რამდენიმე სიტყვაც მყოფნის ბატონ ბეილს, რომელიც

თავის პერსონალებს მოქმედებებსა და დიალოგებში ხატავს. იგი არ გვლდის აღწერებით, ილტვის დრამისკენ და ამას ერთი სიტყვითაა და ერთი აზრით აღწევს. მისი მსუბუქად შექმნილი, ოდნავ მშრალად მოხაზული პეისაჟები კარგად ერწყმის გარესამყაროს. ის ხატავს ბეს და იმ კუთხიდან, სადაც ეს ხე დევას, გვიჩვენებს მოხაზულობას ალაბებისა, რომლებიც გარს ერტყმის მოქმედების თეატრს და პეიზაჟიც დასრულებულია. ნიგნი განსაკუთრებით ძვირფასია მოგზაურთათვის, რომელთაც უბეტიალით ბრანცაში, კობის ტომის გარშემო, მოუვლიათ ალაბები და ღომბარდიის ევლები. ამ პეიზაჟების სული დახვეწილად არის წარმორჩენილი და გვაგრძობინებს მთელ მშენიერებას. მკითხველი მათ ხედავს.

ამ ნაწარმოების სუსტი მხარეა სტილი, ძირითადად სიტყვების განლაგება, რადგან უაღრესად ფრანგული ფიქრი უნდა ამყარებდეს ფრაზას. შეცდომები, რომლებიც მოსდის ბელს, მწინდა განაზრტყულია. იგი მიჩვიდმეტე საუკუნის მწერალთა მსგავსად, გულგრილი და არაკორექტულია მათ მიმართ. ჩემ მიერ მოყვანილ ადგილებში ჩანს, თუ რა სახის ცდომილებების ნებს აძლევს ის თავს. ხშირია ზმნების დროის არევა. ზოგჯერ ზმნა არც კი ჩანს. ბეერგან გვხვდება „ეს არის“ „ის, რომ“ და სხვა, რაც ღლია მკითხველს და ქმნის ფრანგულ გზაზე გაუმართავი ეტლით მგზავრობის შთაბეჭდილებას. ეს საკმარისად უხეში შეცდომები გვაჩვენებს თხზულების ნაკლს, მაგრამ თუ ფრანგული ენა პენიანად გამოხატავს ფიქრს, ასევე შექმნიარებელი უნდა ფიქრით მათ მიმართ, ვისთანაც ის ალაქაგებს ღამას სურათებს. სიმკაცრე მხოლოდ მის მიმართ უნდა გამოიხინით, ვისაც მხოლოდ პენი გაჩანია. თუ ბატონ ბელიანს ღლაქი ცოტა ყვითელი და ალაგალაგ აქერცლილია, ის გვაძლევს საშუალებას, გვაგარქმლოთ ფიქრი, რომელსაც დაუსტებს ღლიკის არტახები. მისი გრძელი ფრაზა ცუდად არის გატებული, მოკლეს კი აკონია სიმრგვალე. ნურს დიდროს მსგავსად, რომელიც მწერალი არ ყოფილა, მაგრამ განაზრახი ღიადი და მღლერია, ჩანაფიქრი

ორიგინალურია და ხშირად კარგად განხორციელებულიც ეს სისტემა არაა მისაბაძი. სახიფათო იქნება აქტორთათვის ის ფიქრი, რომ იმინი ღრმად მოაზროვნეები არიან. ბატონი ბელით თავს შევლის ღრმა გრანობით, რითაც ჩანაფიქრი ცოცხლდება. ყველა, ვისთვისაც იტალია ძვირფასია, ყველა, ვინც ეს ქვეყანა შეისწავლა ან შეიმეცნა, ნეტარებით წაიკითხავს „პარმის საფანეს“. გონება, გენია, ადათები და სული ამ მშენიერი ქვეყნის ცოცხლობას აგრძელ, დამატყვევებელ ღრამაში, ასე კარგად დახატულ კოლორიტულ ფრესკაში, რომელიც გულს აჩქროლებს და ყველაზე რთულ, ყველაზე მომთხოვნ გონებასაც აკმაყოფილებს. სანავეერია იტალიელი ქალია, იგი ბედნიერად განხორციელებული სახეა, ისევე, როგორც კარლ დოლციის „პოუზისი“ თავი, ალორის „ფედითი“ და გერსინის „სიბილა“ მინფრინის გაღურედან. მოსკეს სახითიგე ხატავს გენიალურ პოლოტიკოსს, რომელიც სიყვარული ტყვე გახდარა. ეს გახლავთ სიყვარული ფრაზების გარეშე (ფრაზები „კლარისას“ ნაკლია), სიყვარული მოემედი, მუდამ თავისთავის ერთგული, საქმეებზე ძლიერი, სიყვარული, რომელზედაც ქალები ოცნებობენ და რაც ინტერესს აძლევს ცბორების ყველაზე მინიწერილოვან თუ უმნიშვნელო მოვლენებს. ფაბრიკო არის თანამედროვე ახალგაზრდა იტალიელი, მსხვერპლი საკმაოდ მოუქნელი დესპოტიზმისა, რომელიც ახშობს ამ ღამაში ქვეყნის გაენებას, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ნანყვან ფიქრთუ გრძნობას, რომელიც ფაბრიკოს პატივზე უარის თქმისა და ცხოვრების „საფანესი“ დამთავრებისკენ უბიძგებს, აკლია განვითარება. ეს ნიგნი დიდებულად გეიბატავს სამხრეთულ სიყვარულს. ცხადია, ჩრდილოეთში ასე არ უყვართ. რომანის ყველა პერსონაჟს უღელს ცხელი, ციბეცხელებიანი სისხლი, ახასიათებს სულიერი სისწრავე და სიმარჯვე, რაც არ გააჩნიათ არც ინგლისელებს, არც გერმანელებს და არც რუსებს, რომლებიც მსგავსს მედეგს აღწევენ მხოლოდ ზნანებათა გამოთვლით, მარტოსულის მედიტაციებით, შეყვარებული სულის მსველეობით, ღონეების ხანძრით. ბატონი ბელიანს თავის ნაშრომში მოგვცა ღრმა შეგრძნება, გრძნობა, რომელიც ადასტურებს ღლიურნატურული კონცეფციის სიყოცხლეს, მაგრამ, საუბედუროდ, ეს თითქმის საიდუმლოა, რომელსაც ჩანცლომა და შესწავლა სჭირდება. „პარმის საფანე“ ისე მალდა, რომ მკითხველისგანაც მოითხოვს სამეფო კარის, ქვეყნისა და ერის ჩინებულ ცოდნას, ამიტომაც მე სრულიად არ მიკვირს ის სრული სიჩუმე, რითაც ეს ნიგნი მიიღეს. ეს სვედრიელის ყველა იმ ნიგნა, რომელშიც არაფერია ჩვეულებრივი და მღაბიური. ხმავთ დათვლა ამ საიდუმლო არჩევნებში, სადაც ხმას აძლევს ნელ-ნელა და სათითაოდ უმადლესი გონებაანი და რომელიც დიდებას სძენს ნაწარმოებებს,

ხდება ძალიან გვიან. მეორე მხრივ, ბატონი ბეილი სულ არ არის კურტიზანი და გაზეთები ეზიზღება. თავისი ხასიათის სიდიადისა თუ წმინდა სიყვარულის გამოისობით, იგი თავისი წიგნის გამოქვეყნისთანავე ქრება, მიემგზავრება, ახორციელებს ლეეს გადის, რათა არ გაიგონოს წიგნზე საუბარი. ის არც სტატიებით იკეთებს რეკლამას, არც ფელეტონისტებს დაქვებებს. ასე იქცევა იგი ყოველი წიგნის გამოქვეყნებისას. მე მიყვარს ხასიათის ეს სიძლიერე თუ წმინდა სიყვარულის გრძობიერება. მათხოვრობის პატიება შეიძლება, მაგრამ ვერაფერი ვაპირებთუბის სამონაყოლო სტატიების თიებას, რითაც გამოირჩევიან თანამედროვე ავტორები. ეს მათხოვრობა და გონების სიღატაკეა. არ არაბობის დადენიებული შედეგური. სიცრუესა და ხათროანობას არ შეუძლება, სიცოცხლე მიანჭოს ცუდ წიგნს.

კრიტიკის გაბედვის შემდეგ მოდის ექვსი გაბეჭდულება. დამერწმუნეთ, დროა, სამართლიანი პატივი მივაგოთ ბატონი ბეილის ღირსებას. ჩვენს დროს ბევრი მართებს მის: ვანა მან არ წარმოგვიჩინა რსინი, მუსიკის უმშვენერესი გენია? ის გამუდმებით იბრძოდა რსინის ღიღებოსათვის, რომელსაც საფრანგეთი არ ღებულობდა. მამ, ჩვენც ვიბრძოლოთ მწერლისათვის, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს იტალიას, მწერლისათვის, ვინც შური იძია მძლეველთა მიერ ვაჭრულელებულ ცილისხამებათა გამო და ვინც ასე კარგად აჯიხსნა ამ ქვეყნის სული და გენია.

თორმეტი წლის განმავლობაში ორჯერ თუ შეგხვედრივარ ბატონ ბეილს, მანამდე, ვიდრე თავისუფლებას მოვიკრებდი და „პარმის სავანეს“ შევაქებდი. როცა მას შეგხვდი იტალიელების ბულვარზე, მასთან საუბარს არ შეუცვლია ჩემთვის ის აზრი, რაც მისი ნაწარმოებების ნაკითხვის შემდეგ მასზე გამიჩნდა. მისი თხრობა ისევე გონიერი და მაღლიანია, როგორც ბატონების: დე ლატუზისა და შარლ ნოღიანი. იგი პოეტიკიდე ლატუზის სიტყვის მაცდურობაში. თვითონ ტანად სქელადა, რასაც ფარავს მისი დახეენილობა და მანერების ელევანტურობა. თავიდანვე დაგატყვევებთ, ისე, როგორც პოფმანის მეგობარი, დოქტორი კორეფი. მას აქვს ლამაზი შუბლი, ცოცხალი და განმსჭვალავი თვალები, სარდონიკური პირი. ფიზიონომია მთლიანად გამოხატავს ტალანტს. მის საუბარში იგრძნობა რაღაც ენიგმატური, რაღაც უცნაურობა, რაც მას უბიძგებს, რომ არასოდეს მოახეროს თხზულებას უკვე ცნობილი გვარი - ბეილი და ერთ დღეს შეიძლება დაირქვას კოტონე, მეორე დღეს კი - ფრედერიკი.

როგორც მითხრეს, იგი ცნობილი მოღვაწის, ნაპოლეონის ერთ-ერთი ხელის, დაროუს დისწულია. ბატონი ბეილიც, ბუნებრივია, ნაპოლეონის ემსახურა. 1815 წელმა შეწყვიტა მისი კარიერა. ის ბერლინიდან მილანში ჩაივიდა და შეიგრძნო მკვეთრი განსხვავება წრდილოეთისა და

სამხრეთის ცხოვრებას შორის. ამახვე უნდა ვუმაღლოდეთ მწერლის დაბადებას. ბატონი ბეილი ჩვენი დროის ერთ-ერთი უმდიდრესი და ამაჰიანია. ძალიან ძნელია ჩემს აზრს, რომ ეს უმაღლესი ღონის დაშვიანებულე, ეს დიდი დიდილოზატი, ვინც წაწერითა თუ ნათქვამით მოგვცა უამრავი საბუთი თავისი იდეების სიმაღლისა და პრაქტიკული ცოდნის სიფართოვისა, მხოლოდ და მხოლოდ კონსულა ნიკიტაშვიტისა. სულაც არ იქნებოდა ზედმეტი, რომ მას საფრანგეთისათვის რომშიც გაენია სამსახური. ბატონი მერიმე დიდი ხანია იცნობს ბატონ ბეილს და შეედრება კიდევ მას, მაგრამ უფრო ადვილადმისაწვდომი და ელევანტურია. ბატონი ბეილის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები აღსანიშნავია დაეკრევაბათა დახეენილობითა და იდეების სიმდიდრით. თითქმის ყველა მათგანი ეხება იტალიას. ის პირველია, ვინც ზუსტი შეფასება მისცა ჩემნის საშინელ პროცესს, მაგრამ მან არასაკმარისად ახსნა დასჯის მიზეზები, რომლებიც დამოუკიდებელი იყო პოეტისგან და გამოწვეული იყო სახარბითა და ფრაქციების ინტერესებით. მისი წიგნი „სიყვარული“ აღენატება სენანკურის ამავე სახელწოდების წიგნს. იგი უკავშირდება კაბანისისა და პარიზის სკოლის დიადლოქტრინებს, მაგრამ სცოდავს მეთოდის ნაკლოვანებით, რაც, როგორც უკვე გითხარით, „პარმის სავანესაც“ აღაქვებს. ამ პატიარა ტრაქტატში მან გარისკა და გამოიყენა ციტაა „კრისტალიზაცია“, რათა აეხსნა ფენომენი ამ გრძნობის დაბადებისა. ეს გამოიყენება ირონიულია და დარჩება, როგორც განსჯის სავანი. ბატონი ბეილი წერს 1817 წლიდან. მან დაიწყო მკაფიო ლიტერალიზმით, მაგრამ მეექვსეა, რომ ეს დიადი გამომთვლელი გატაცებული იყოს ორპალატიანი ხელისუფლების სისულელეებით. „პარმის სავანეს“ გააჩნია ღრმა აზრი, რომელიც არ ეწინააღმდეგება მონარქიას. იგი დასცინის იმას, რაც უყვარს, ის ხომ ფრანგია.

ბატონი დე შატობრიანი „ატალას“ მე-თორმეტი გამოცემის შესავალში ამბობდა, რომ მისი წიგნი უამრავი ჩასწორების გამო

არაფრით შეავდა წინა გამოცემებს. ბატონ-მა გრაფმა დე მესტრმა აღიარა, რომ ჩედი-რეტკერე გადაწერა „აოსტის ველის კეთ-რივანები.“ მე ვისურვებდი, რომ ბატონმა ბეილმა ხელახლა გადაამუშავოს, დახვეწოს „პარმის სავანე“, მინიფოს დასრულებული სახე და მიუწოდო მებენიერების შე-ჭრელი, რითაც აღბეჭდეს ბატონებმა დე შა-ტორიანმა და დე მესტრმა თავიანთი ძვირ-ფასი ნივნები.

დე ბალზაკი.

განმარტებანი

„კონსტიტუციონელი“ - პარიზში 1829 წლი-დან გამოშვებული ჟურნალი.

„სკენები სამხედრო ცხოვრებიდან“ - ოსორე დე ბალზაკი რომანი.

ბორჯინიონი, ამპროჯიო - (1470-1523) იტალიელი მხატვარი.

ფუერმანსი, ფილიპ - (1619-1668) პოლან-დელი მხატვარი.

სალვატორ როზა - (1615-1673) იტალიელი მხატვარი.

კუნი, ვიქტორ - (1792-1887). ფილოსოფო-სი და პოლიტიკოსი, საფრანგეთში გერმანული ფილოსოფიის შემომტან-პოპულარიზატორი.

Vox populi - იმა ერისა (სლათ.)

ლურ გოზლანი - (1803-1866) ფრანგი მწერ-ალი, დრამატურგი.

ფელაინი, კაშირი - (1793-1843) ფრანგი მწერალი, ტრაგედიებისა და პატრიოტული ელ-ევების ავტორი.

გ. პლანში (ესტაჟ პლანში) - (1808-1857) ფრანგი კრიტიკოსი

ალფონს კარი - (1808-1890) ფრანგი მწერ-ალი.

შარლ ნოდე - (1780-1844) ფრანგი მწერალი, მისმა „ფინტიზიზმებმა“ გზა გაუხსნეს ჟერარ დე ნერვალისა (1808-1855) და სთურეადისტიების მიხედვს.

ქალბატონი დე ვირარდენი, დელფინ გვი - ფრანგი ლიტერატორი.

ანდრე მონიე - (1799-1877) ფრანგი მწერალი და პარიკატურისტი.

ბლანში, პიერ სიმონი - (1776-1847) ფრანგი მწერალი.

„ბიერმანი“ - ფრანგი პროზაიკოსის და

ესეისტის, ვტიენ ფილიპ დე სენანკურის (1770-1846) რომანი-გამოქვეყნდა 1804 წელს.

ბერნარდენ დე სენ-პიერი - (1737-1814) ფრანგი მწერალი, ცნობილი „პოლი და ვიკინის“ ავტორი.

„საკოელი ეპისკოპოსის სარწმუნოების სიმბოლო“ - ფრანგ-შენტი ჟან-ბატ რუსოს ნაწარმოებიდან „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“.

„სილასა და ევერატის დილოგი“ - ფრანგი განმანათლებლის, შარლ მონტესკიეს (1689-1755) თხზულება.

„რომაელთა სილიადე და დეკადანსი“ - მონტესკიეს (1689-1755) თხზულება.

„პროვინციელები“ - ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის, მწერლისა და მეცნიერის ზღუს პასკალის (1623-1662) თხზულება. „ჟილ ბლანი“ - ფრანგი მწერლის რენე ლესაჟის (1668-1747) ცნობილი რომანი.

ანდრე შენი - (1762-1794) ფრანგი პოეტი, გულმხურავე რევოლუციონერი, რომელმაც აუმხედრა რევოლუციონ ტერორსაც, რისთვისაც ვილიტინაზე მოკვდეს თავი.

Stipant katera - გულმემატიკვარი (ლათ.)

Mezzo termine - ნახევრად დამთავრებული (იტალ.)

მადამ დე სტალი, ფერმენ ნეკერი, ბარონესა დე სტალი-ოსტენი - (1766-1817) ფრანგი მწერალი ტალი, ავტორი ცნობილი რომანებისა „დედფინა“, „კორინი ანუ იტალია“. მასვე ეკუთვნის გერმანიაზე დაწერილი წიგნი, რომელმაც გზა გაუხსნა ფრანგულ რომანტიზმს.

ფუკე, ნიკოლა, გრაფი დე ვო - (1615-1650) საფრანგეთის ფინანსთა სუპერინტენდანტი, ნიკემატობით იზიდავდა მწერლებსა და ხელოვანებს, თავისი სიმდიდრით გამოიწვია ლუი მეოთხე-მეტის გაღიზიანება და ეჭვი. მისი დავალებით შესწავლეს ფუკე საემიანობა და შრავალ ფინანსურ თაღლითობაში ამხილეს დაპატიმრეს და საბოლოოდ პიემონტში, პინეტროლის ციხეში გადაიცივალა.

პიტი, უილიამი - (1708-1778) ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1756-61, აგრეთვე 1766-1768 წლებში.

უილიამ პიტი, მეორე - (1756-1806) ეკონომიკური უილიამ პიტისა, თავადი ინგლისის პრემიერ მინისტრი 1783-1801 წლებში. მეორედ ხელისუფლების სათავეში 1804 წელს მოვიდა და სიკვდილამდე პრემიერად დარჩა. მან დიდი როლი ითამაშა ინგლისის ფლოტის რეორგანიზაციაში, რამაც პრიტანეთს დიდი გამარჯვება მოუტანა 1805 წელს ტრაფალგარა საზღვაო ბრძოლაში, სადაც ადმირალ ნელსონის მეთაურობით ინგლისელებმა გაანადგურეს საფრანგეთის ფლოტი.

Mutato nomine - იცვლება დანიშნები (ლათ.)

დოლცი, კარლო - (1616-1686) იტალიელი მხატვარი.

ალორი, ალესანდრო - (1515-1606) იტალიელი მხატვარი.

გერსინო, ვიოვანი ფრანესკო ბარბიერი - (1591-1666) ცნობილი იტალიელი მხატვარი.

„ჟლარისი“ - ცნობილი ინგლისელი მწერლის სამუელ რიჩარდსონის (1689-1761) განმავრცებული რომანი.

დე ლატუში, პიაცინტი - (1785-1851) ფრანგი მწერალი და ფუნდამენტალი, აკაობინელის მიერ სიკვდილით დასჯილი დიდი პოეტის, ანდრე შენიეს ლექსების პირველი ნაგონის გამომცემელი.

ჩივიტა-ვეკია - ქალაქი იტალიაში.

ჩენი - მეთექვსმეტე საუკუნის რომში კრიმინალური ქმედებები ცნობილი თავაზი.

კანანის, ფორე - (1757-1808) ფრანგი ექიმი და ფილოსოფოსი.

დე მესტრი, ჟოზეფ - (1753-1821) ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი.

ფრედერიკ სტენდალი

ჩივიტა-ვეკია, 1840 წლის 30 ოქტომბერი.

ბატონო ონორა დე ბალზას პარიზში

წუხელ საღამოს ძალზე განვცვიფრდი, ბატონო. ფიქრობ, რომ „რევიუში“ ჯერ არავინ ყოფილა ასე დაფასებული და თანაც, ამ ხელობის საუკეთესო მსაჯულის მიერ. თქვენ შეინყნარეთ ქუჩაში მიტოვებული ობოლი. არაფერია იმაზე ადვილი, რომ მოგწეროთ თავაზიანი წერილი, ისეთი, როგორც მე და თქვენ შეგვიძლია, მაგრამ რადგან თქვენმა საქციელი უნიკალურია, მინდა, მოგზაობით და გაპასუხებით გულწრფელი წერილით. მიიღეთ ჩემი მადლიერება უფრო რჩევების, ვიდრე ქება-დიდებათა გამო.

მე წუხელ ნაიკითხე „რევიუ“ და თქვენ მიერ განსასჯელად გამოტანილი პირველი ორმოცდაათობმეტი გვერდი დღეს ოთხით თუ ხუთით შეგამცირე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყველაზე ნაღდ სიხარულს სწორედ მათი დაწერის დროს ვგრძნობდი, მაშინ ვფიქრობდი საგნებზე, რომელთაზე ვაღმერთებ და არა რომანის შექმნის ხელოვნებაზე. მე არ ველოდი, რომ 1880 წლამდე ნაიკითხავდნენ და იმ ეპოქა გაუგზავნენ ეს ნაბეჭდი. ფიქრობდი, რომ იმ დროის რომელიმე ლიტერატურაზე მოლაყებ აღმოაჩენდა თხზულებას, რომელიც თქვენ ასე უცნაურად განადიდეთ. თქვენი ილუზია მეტისმეტად შორს მიდის, მაგალითად „ფედრა“-ზე. თქვენ წინაშე ვალიარებ, რომ შემრცხვა კიდევ, რადგან ძალიან გაფასებ მის ავტორს. რახან თქვენ ასე გაისარჯეთ და სამჯერ ნაიკითხეთ ეს რომანი, მე გაფაღრმავებ საკითხს კითხვებით, რომლებიც ბულვარზე ჩვენი პირველი შეხვედრის დროს გაჩნდა:

1) შეიძლება ფაბრიციოს უწონოდოთ „ჩენი გიორი“? სჯობდა, უფრო იშვიათად გვესხებინა ეს სიტყვა - ფაბრიციო.

2) საჭიროა კი ამოღება ფაუსტას ეპიზოდისა, რომელ-

იც შექმნის პროცესში ძალიან გაიზარდა? ფაბრიციომ გამოიყენა შექმნილი ვითარება, რათა პერსონაჟისთვის ეწვენილი რისკი არ იყო სიყვარულში მგრძობიარე.

პირველი ორმოცდაათობმეტი გვერდი მე მეტად მშვენიერი მეჩვენებოდა, გეთანხმებით, რომ ძალიან მსაპოვნებდა ჩემი აბალგაზრდობის ბედნიერ ხანაზე საუბარი. სინდისის ქენჯნას განვიცდიდი, როცა ამ გვერდებს ვასწორებდი, მაგრამ მე ვფიქრობდი უოლტერ სკოტის ტომების ასე მოსაწყენ საწყის ნახევრებზე და ლეოტა-ბრივი „კლდის პრინცესას“ გაჭიანურებულ პრეამბულაზე.

მე შემიდგენია რომანების რაღაც გეგმები, ვერ შევძლებ ამის მთლიანად უარყოფას, მაგრამ მყინავს მათი შედგენა, ჩვეულებრივ, ვკარნახობ 25 თუ 30 გვერდს, შემდეგ, როცა საღამოვდები, ძალიან მესაჭიროება ყურადღების სხვა თემაზე გადატანა, მეორე დღით კი მთლიანად დაეინყებულ უნდა მქონდეს. წინააღმდეგ დანერგოლი სამი თუ ოთხი გვერდის ნაკითხვის დროს, დღეს დასაწერი მოდის ჩემთან. ჩემი უბედურება ის გახლავთ, რომ აქ არაფერია ფიქრის აღმგზნები. რით უნდა მიიპყროს ყურადღება ჩივიტა-ვეკიას ხუთიათასმა ვაჭარმა? ორასიოდე კატორღელზე რომანტიკული აქ არაფერია. შეუძლებელია სასურველი საზოგადოების შემოკრება, ქალებსაც მხოლოდ ერთადერთი ფიქრი აქვთ, მაგორმე ქმრებისგან საჩუქრად ფრანგული უთუი მიიღონ.

მაგას ლვარჭნილი სტილი და გამოგოტყდებით, რომ „სავანის“ ბევრი თავი პირდაპირ ეუკარნახე. ბავშვით ვიტყვი: ხელახლა აღარ დავუბრუნებდი! ეს კარნახის საშობილი თუ საშობადათი სეანსია. იდებში მაჩქარებდნენ. ციხის მთელი ეპიზოდი დამეზნა და იძულებული გაეხდი, ხელახლა შემექმნა, მაგრამ თქვენ რამი გჭირდებათ ეს წერილმანები?

მე ვფიქრობ, რომ სამეფო კარის განადგურების შემდეგ, 1792 წლიდან ფორმის მნიშვნელობა დღითიდღე მცირდება. ბატონ ვილემენს, რომელსაც აკადემიკოსებიდან ყველაზე მეტად ვცემ პატივს, „სავანის“

სამი ტომი დასჭირდებოდა იმის ფრანგულად ასახსნელად, რაც ამ ორ ტომშია მოცემული. მალაფარდოვანი და მჭერმეტყველური ემშაკობები კი დეკლამაციური ტონით უფრო სიძულვილს გამოიხვევდა. ჩვიდმეტე წლის ასაკში კინაღად დედულში გავედი შატბორიანის „ტყელების ბუნდოვანი კენჭნოების“ გამო, რომელსაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. მე არასოდეს წამიკითხავს „ინდიელის ქოხი“, ვერც ბატონ დე მესტრს ვიჭან და კიდევ უფრო მეტად, სიძულვილამდე – ლა არას. აი, ნამდვილად ამიტომ ვნერ ცუდად: ეს ლოგიკის გადაჭარბებული სიყვარულით მემარებდა.

ჩემი ჰომეროსი მარშალ გუვიონ სენსინის მოგონებებია. მონტესკიე და ფენელონის „მკედართა დილოგები“, ჩემი აზრით, კარგადაა დანერგილი. სულ რაღაც თხუთმეტი დღის წინ ცრემლი მომგვარა „არისტონიუსის ანუ სიყვარულის მონის“ ხელახლა გადაკითხვამ.

მადამ დე მირდოფის და მისი კომპანიონების, ჟორჟ სანდის რამდენიმე რომანის და ჟურნალებში გამოქვეყნებული ბატონ სულიეს ნოველების გარდა, ოცდაათი წლის მერე დაბეჭდილთაგან, თითქმის არავერი წამიკითხავს. ხშირად ვკითხულობ არიოსტოს, რომლის მოთხრობებიც ძალიან მომწონს. პერცოგინიას სახე გადმოვლებულია კორეფოსაგან (ასე ვთქვავთ, ჩემს სულზე კორეფოს ზემოქმედებით). ფრანგული ლიტერატურის მომავალს მხატვრობის ისტორიაში ვხედავ. ამით ჩვენ შევირდები ვართ პიეტრო კორტინესი, რომელიც სწრაფად მუშაობდა და შთაბეჭდილებების უტრირება სჩევოდა, როგორც მადამ კოტენს, რომელიც ბორომეს კუნძულების სამშენებლო ქვეშ „ამოძრავებს“.

როცა „სავანეს“ ვისწავდი, საჭირო ტონის მისაგნებად ყოველდღიურად ვკითხულობდი „სამოქალაქო სამართლის“ ორ-სამ გვერდს, რათა ძალიან ბუნებრივი ყოფილიყავი. მე არ მსურს მკითხველის სულის ხელოვნური საშუალებებით მოხიზლვა. ეს საწყალი მკითხველი ელოდება ამბიციური სიტყვების ჩაელას, მაგალითად „ქარი ძირფესვიანად თხრის ტალღებს“, მა-

გრამ ემოციური ნამების შენდევ ასეთი გამოთქმები ვეღვა ბრუნდება. მე მსურს, რომ მოსკაზე ფიქრის დროს მკითხველს არ გაუჩნდეს უკმარისობის გრძობა.

მე ვაპირებ ოპერის ფოიეში ერნესტო მეთოხის მიერ ვატრლოოს შემდეგ პარიზში საჯამუშოდ გაგზავნილი რასი და რისკარა გამოვიჩინო. ამერიიდან ჩამოსული ფაბრიციო შეამჩნევს მათ იტალიურ გამოხედვას და მილაპერ გამოითქმას, რაც ამ მზევრავებს სხვათაგან შეუმჩნეველ ჰგონიათ.

მთელი ქვეყანა მეუბნება, რომ უნდა გავსაჯავრო პერსონაჟები, რომ „სავანე“ ჰვავს მემუარების და რომ გმირები ჩნდებიან საჭიროების მიხედვით. ჩემი ეს ნაკლი უპატივბელი სულაც არ მგონია. განა არ აღენერე ფაბრიციის ამბავი? შეუძლებელია კეთილი აბატი ფლანგის მთლიანად გაქრობაც, მაგრამ მე მას შეეპაცორებ. ვფიქრობდი, რომ ისეთი პერსონაჟებიც საჭიროა, რომლებიც, მართალია, არას აკეთებენ, მაგრამ ეხებიან მკითხველის სულს და თხრობას ანიჭებენ რომანის იერს.

აღბათ ამპარტავენების ურჩხულად წარმოვიდგები. რაო, რას იტყვის თქვენი შინაგანი ხმა: ამ ცხოველს, ვისთვიხაც ჩვენს დროში უმადალიო, ანხელა რამე გავაყუევ და ის კიდევ უკმაყოფილოა, სურს მის სტილსაც შევასხა ხობტა? მაგრამ ხომ არაფერი არ უნდა დავუშალოთ ჩვენს ექიმს, ზოგჯერ მოითხედი საათის განმავლობაში ეფიქრობ, სადა დაესვა ზედსართავი სახელი, არსებობის წინ თუ უკან. ვცდილობ, მართლად და ნათლად ვილაპარაკო იმაზე, რაც ჩემს გულში ხდება. მე მხოლოდ ერთ ნესს ვცნობ: ვიყო ნათელი. თუ ნათელი არ ვიქნები, მთელი ჩემი სამყარო არარაობად იქცევა.

მე უნდა ვილაპარაკო იმაზე, თუ რა ხდება მოსკას, პერცოგინიას, კლელიას სულთა სიღრმეებში. ეს ის ქვეყანაა, სადაც ვერ შეაღწევს გამდიდრებულების, ისეთების, რიგორცაა, ლათინისტი, ზარაფხანის დირექტორის, ბატონ გრაფ დე რუახის, აგრეთვე ბაყლები და დარბაისელი ოჯახის უფროსების მზერა. (წარმოვიდგინოთ, რომ მე მაქვს იშვიათი პრივილეგია მსგავსად ლამაზად წერის კორიფებისა) მე რომ სიღრმისეულ სიძულველს მივუშაგო ამ ნაქები სტილის ბუნდოვნებაც, ველარვინ ჩასწავდება პერცოგინიას ბრძოლას ერნესტო მეთოხის წინააღმდეგ.

ბატონი დე ვ...-ს და ბატონი ვ...-ს სტილზე ვიტყვი:

1) ბერი პატარა დიდებული რამ, მაგრამ სათქმელისთვის არას მომცემი. (როგორც ოზონისა და კლოდიანის სტილი.)

2) მრავალი საყურადღებო მომცრო ღრმული. იქიდან გამომდინარე, რომ ნახევრადბრიყვები თანდათან მრავლდებიან, მცირდება ფორმის ნილიც, „სავანე“ ქალბატონ სანდს ფრანგული მოზღვას ყადაღე რომ



გადაეკეთებინა, მისი ნარჩუნება გარდაუვალი იქნებოდა, ამასთან, იმას, რაც ორ ტომში მოვათესეს, სამი ან ოთხი ტომი დახსირდებოდა. დაფასეთ ეს მოზღაღებება.

ნახევარბრიყვს მალლა აუტაცებია ყველაფერი რასი-
ნის ლექსების შესახებ, რადგან მას ესმის, რო ეს ერთი
დაუმთავრებელი ტაეპია, მაგრამ დღითიდღე ლექსის
ნილი სურ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება რასი-
ნის შუფასებისას. საზოგადოებას, რომელიც უფრო მრავ-
ალრიცხოვანი და ნაკლებად ცხვარი ხდება, სურს მეტი
ნამდვილი პატარა ნანარმოები ვნებასა და ცხოვრებისეულ
სიტუაციებზე.

რამდენი ვოლტერი, რასანი, ყველანი, გარდა კორნელი-
სა, გამხდარან იძულებული რითმის გამო ლექსის ქულები
მოექსოვათ. რა გამოვიდა? ეს ლექსები იკავებენ ადგილს,
რომელიც სამართლიანად ეკუთვნოდათ პატარა, ნამდვილ
ქმედებს.

ორმოცდაათ წელიწადში ბატონი ბინიანი ანუ პროზის
ბინიანები ისე მომბაზრებდნენი გახდებიან თავიანთი ელ-
ფვანტური, ყველა სხვა ღირსებას მოკლებული ქმნილებე-
ბით, რომ ნახევარბრიყვები გასაჭირში ჩაცვივდებიან. მათი
ამაოება მოითხოვს, რომ ვამუდმებთ ილაპარაკონ ლიტ-
ერატურაზე და მოაზროვნებს ჰგავდნენ. რა დემარათე-
ბით მათ, როცა აღარ შეეძლებათ, ფორმას მიეჯაჭვონ?
მამინ დაამთავრებთ იმით, რომ ვოლტერს აქცევენ ღმერ-
თად. ამგვარი სულისკვეთება ორას წელზე მეტხანს არ
გრძელდება. 1978 წელს ვოლტერი იქცევა ვუატიურად,
„მამა გორიო“ კი მუდამ „მამა გორიოდ“ დარჩება. შესა-
ძლოა მათთვის სათაყვანებელი წესების გარეშე დარჩე-
ნილი ნახევარბრიყვები ისეთ შავ დღეში ჩავარდნენ, რომ
აღვილი შესაძლებელია, მოზღვრდე ლიტერატურა და
ღვთისმოსავებად იქცენ. ყველა პოლიტიკური კეკლუცი
და მათი დეკლამაციურ-მაქებარი ტონი 1880 წელს უკვე
მოყრიტებული იქნება და ალბათ მხოლოდ მაშინლა შეი-
ძლება დადგეს „სავანის“ ნაკითხვის დრო.

ვიმეორე. რომ ფორმის წილი დღითიდღე მცირდება.
აი, პოეში. წარმოიადგინეთ 1780-1840 წლების საფრანგეთის
ისტორია, პოემის მაღალფორმირებით დაწერილი. მას იმ
შემთხვევაშიც წაიკითხავდნენ, კილოკავზეც რომ ყოფილ-
ყოფი შექმნილი. „სავანე“ „სამოქალაქო სამართლის“ მსგავსი
ენით დაწერა. შევეცდები შევასწორო სტილი, რადგან იგი
ისე გემოთირებათ, მაგრამ ეს ძალზე მტანჯველი იქნება
ზემოთის. არ მიყვარს მოდური სტილი, ვერ ვიტან. მე ესე-
დავ კლოდიანებს, სენეკებს, ოზონებს. მთელი წელია ჩამ-
ოხინივებ, რომ საქორაო მკითხველის მოქანცვა პეიზაჟის,
ტანსაცმლის და ა.შ. აღწერილ. ასეთმა რამებმა სხვებთან
კომპარირებს თავი. ვაჭარებ.

რაც შეეხება დღევანდელ წარმატებას, ამაზე მე ვერც

კი ვიოცნებები „რევიუ პარიზიენის“ გარ-
რეშე, რადგან ჯერ კიდევ თხუთმეტწლიან
წინ ჩემთვის თქვი: „ავადმიტისს...“
ძლებოდა გავმხადარიყავი. თუკი საზოგადოებ-
დი ხელს მადმუაზელ ბერტენისა (წიგნორი
ვიქტორ პოუგის სიტყვებზე დაწერილი ოპ-
ერისა „ესმერალდა“), რომელიც კვირაში
სამჯერ შემამებად“. როცა საზოგადოება
აღარ იქნება მიჯაჭვული მდიდრებზე, რომ-
ლებიც საკმაოდ საზოზლარნი არიან, შეწყ-
ვეტს მუხლის მოდრეკას არისტოკრატის
ჟურნალის წინაშე. 1793 წლამდე კეთლ-
მოზილი საზოგადოება იყო წიგნების ნამ-
დვილი მსახული. ახლა მას ეზმანება 1793
წლის დაბრუნება, თან უმინია, ის ვეღარ
შეიძლება იყოს მსახული. იხილეთ კაპალო-
ვა, რომელსაც წიგნებით მოვაჭრე წინადა
თობა აქვიწილის მასლობლად სათავაზობს
მეზობელ დიდებულებს. ეს ის არგუმენ-
ტია, რომელმაც ყველაზე უკეთ შემამალე-
ბინა, შევეცუებოდა იმას, რომ შეუძლებელია
მოვეწრო ამ მხადლებს და უსაქმურობით
გამოთავყვანებულეს.

მე სულაც არ შემიქმნია ასლი მეტერ-
ნისისა, რომელიც უკანასკნელად 1810 წელს
ენაზე სინ-კულში, როცა ის ატარებდა მამინ
ისე მშვენიერი ს...-ს თმისსამავრა. სულ
არ მადარდებს, რა მოხდება. ფაბალისტი გახ-
ლავარა და ჩემთვის ვარ მიყუყული. ვოცნე-
ბომ იმაზე, რომ იქნებ 1860 ან 1880 მოვიდეს
გარკვეული წარმატება. მაშინ ძალიან ცოტას
ილაპარაკებენ ბატონ მეტერნისზე და კიდევ
უფრო ნაკლებს - პატარა მთავარზე. ვინ
იცის, ვინ იყო ინგლისის პრემიერ-მინისტრი
მალერბის დროს? თუ საუბედუროდ, მაინც
და მინც, კომიკულს არ ნავასყდები, მაშინ
ყინძე სრულიად უცნობი შემრჩება ხელს.

სიკვდილი ცვლის ამ ხალხს როლსა და
შინძენელობას ჩვენითვის. სანამ ცოცხლები
არიან, მათ ყოველგვარი ძალმოსილება
აქეთ ჩვენს სხეულებზე, მაგრამ სიკვდილი-
ისთანავე საშუდამო დაიწყებაში იძირები-
ან. ვინ ილაპარაკებს ბატონ დე ვილელზე
ან ბატონ დე მარტინიაზე ასე წლის მერე?
ბატონი დე მეტერნისი შეიძლება გაადარჩეს,
თუკი კარგად დაწერილ მემუარებს დაავი-
ტრეებს, მაშინ, როცა „კომიკური რომანი“



დღესაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც 1980 წელს იქნება. ეს საკარონმა გაგვაცვინო მისი დროის როტშლდი, ბატონი დე მონტორონი, რომელიც ასევე კორნელის პროტექტორად შემოგვრწა იმ ორმოცდაათი ლუდიდორის წყალობით, რომელსაც მას უბოდიდა.

თქვენ, როგორც საქმეში ჩახედულმა კაცმა, ტუტტინად შენიშნეთ, რომ „სავანეს“ არ შეეძლო, შეეტია საფრანგეთისა და ესპანეთისნაირი დიდი სახელმწიფოებისთვის. რჩევითა მხოლოდ გერმანიისა და იტალიის პატარა მთავრები, მაგრამ გერმანელები ისე ქედმოდრეკილი არიან კანონის წინაშე, ისე სწორბაზოუნები, რომ შე, ვინც რამდენიმე წელი გავატარე მათთან, გულარძინლოების გამო უკვე დავიფიხნე მათი ენა. თქვენ ხედავთ, რომ არ შეიძლება ჩემი პერსონალები გერმანელები ყოფილიყვნენ. თუ თქვენ გაპყეებით ამ აზრს, მიიხზვდებით, რომ ხელი მიბიძგებდა ჩამქრალი დინასტიის, ფარნეზეკენ, რომელიც წინაპრების დიდსულდონების წყალობით ნაკლებად ბნელი იყო სხვა ჩამქრალ დინასტიებთან შედარებით. (...)

იმედი მაქვს, რომ ამ მიძღვნას ორჯერ ნაკითხავთ. თქვენ ჰრძინათ, ბატონო, რომ არ იცით ინგლისური. პარიზში ამჟამად უოლტერ სკოტის ბურჟუაზიული სტილი სუფევს ჟურნალ „დებას“ რედაქტორის, ბატონ დ...ს წონიან პროზაში. ბატონ უოლტერ სკოტის სტილი ელევანტურობას მოკლებული და პრეტენზიულია. მოსჩანს ჯუჯა, რომელსაც თავისი სხეულის უმცირეში მტრების დაკარგვაც არ სურს.

ახლა ებედავ, გამოგიტყდეთ, რომ თქვენი ეს საოცარი სტატია, რისი მსგავსიც არასოდეს არავის ღირსებას სხვა მწერლისგან, სულ სცილით წავიკითხე. როგორც კი ცოტაოდენ ქებას ნავანყებობდი, ეხედავდი ნაღმებს, რომლებსაც მეგობრები ამის კითხვის დროს გაამზადებდნენ.

ასე ცუდად ვერ, როცა მალაგონიერ კაცს მიგმართავ. ამ დროს ჩემი აზრები, ისე სწრაფად იღვიძებენ, რომ მიძულდებიან, ხელახლა გადავწერო წერილი.

განმარტებანი

„კლევის პრინცესა“ - მაადმ დე ლაფაიეტის (1654-1690) რომანი. გამოქვეყნდა 1678 წელს.

ვილმენი - (1790-1870) - უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი და პოლიტიკოსი, ერთხანს განათლების მინისტრად გახლდათ.

„ინდიელის ქოხი“ - ბერნარდერ დე სენ-პიერის (1737-1814) რომანი. გამოქვეყნდა 1808 წელს.

ლა არაი, ფან-ფრანსუა - (1739-1803) ლიტერატურის კურსის შემდგენელი.

სენ-სირი, გუვიონ დე - (1764-1830) ნაპოლეონის იმპერიის მარშალი. რესტავრაცია დროსაც თვალსაჩინო თანამდებობებზე იპაეა.

ვენელონი - (1651-1715) მწერალი, ლუი მეოთხემეტას შვილიშვილის აღმზრდელი, „არისტონუსი ანუ ალანის მოხა“ მისი ერთ-ერთი იგავი.

სული, ფრედერიკ - (1800-1847) ფრანგი ნოველისტი.

პიერ დე კორტონე - (1596-1669) ალორძინების ხანის იტალიელი მხატვარი.

კორეუო, ანტონიო ალგერი - (1489-1534) ალორძინების ხანის დიდი იტალიელი მხატვარი.

მადამ კოტენი - (1770-1807) ფრანგი მწერალი ქალი.

ბორიეს კუნძულები - იტალიის კუნძულები მავორენ ტბაში. სახელწოდება უკავშირდება ცნობილ ლომბარდიულ ოჯახს, რომელმაც მეთაორმეტე საუკუნეში დაიპყრო ეს კუნძულები და დღესაც მის საუკირობაშია. უფრავ ტურისტს იზიდავს.

ამიენი - ქალაქი საფრანგეთში.

ბინიანი, ან - (1795-1861) ფრანგი ლიტერატორი, პოეტი, „სომეროასის მთარგმნელი. 1822-1849 წლებში 35 სხვადასხვა პრემია მიიღო. მისი დაუცხრომელი სწრაფვა ვილდოებისკენ თანამედროვეთა ირონია იწვევდა.

ეუბატური, ვენსან - (1597-1648) ფრანგი პოეტი, პრეციოზული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი.

ოზონი - (309-394) ანტიკური ხანის პოეტი და მწერალი.

კლოდიანი - მესხეთე საუკუნის ლათინი პოეტი.

ლუიზ ბერტენი - (1805-1877) ჟურნალ „დებას“ დამფუძნებლის ქალიშვილი, პოეტის მეგობარი, მუსიკოსი, რომელსაც აუასებდნენ დიდი კომპოზიტორები: ბერლიოზი, ლისტე და შერერბერი.

სენ-კლუ - პარიზის გარეუბანი, სადაც მდებარეობდა ნაპოლეონის რეზიდენცია.

მალგრეზი, ფრანსუა - (1555-1628) ცნობილი ფრანგი პოეტი.


ვილელი, ფან-ბატისტ, მარტინიაკი ფან-ბატისტ - სტენდალის თანამედროვე ფრანგი პოლიტიკოსები.

სკარონი, პოლ - (1610-1660) ფრანგი მწერალი.


ფრანგულიდან თარგმნა ბადრი თევზაძე

გამომცემლობა „საუნჯე“ გთავაზობთ წიგნებს

ქართული
ბიბლიოთეკა



იკონონ გურული



გიორგი ლოშაძე

ქურნალი „ახალი საუნჯე“ 2015 წლის ბოლომდე
შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე

თითო ნომრის ფასი - 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებძის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՏՈՒՆՆԵՐԻ ԿՈՄԻՏԵ

ՆԵՍԻՆ

Երևան
ՀԱՅԿԱՅԻՆ ԿՈՄԻՏԵ

ՀԱՅԿԱՅԻՆ ԿՈՄԻՏԵ
770154984002
8466-4210 NSSI